სტალინიზმი და ისტორია (რუსული ისტორიული მეცნიერება 1930-იან 40-იან წლებში)

,,ისტორიული ცოდნის უნიფიკაცია“

1930-იან წლებში საბჭოთა კავშირში მოხდა არადემოკრატიული ცენტრალიზმის ავტორიტარულ-ადმინისტრაციულ, ბოლოს კი ავტორიტარულ დესპოტურ სისტემად ტრანსფორმაცია. პოლიტიკა თამაშობდა ისტორიოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს, ხოლო კონკრეტული გამოკვლევები გახდა შეჯერებული სტალინის ისტორიულ შეხედულებებთან.

ისტორული მოვლენის ფუნდამენტური გაგება სტალინს არ ჰქონდა, მაგრამ ისტორიაში პროფანიც არ ყოფილა. ქვაკუთხედი რუსეთის ისტორიის მისეულ გაგებაში იყო აზრი მისი ჩამორჩენილობის შესახებ, 1931 წელს ერთ-ერთ კონფერენციაზე გამოსვლისას (მრეწველობის მუშაკთა საკავშირო კონფერენციაზე) ი. სტალინი ამბობდა: ,,ძველი რუსეთის ისტორია მდგომარეობდა სხვათაშორის იმაში, რომ მას განუწყვეტლივ ამარცხებდნენ (ჯაბნიდნენ) „ჩამორჩენილობის გამო“ ამარცებდნენ მონღოლი ხანები, თურქი ბეგები, შვედი ფეოდალები, პოლონელ-ლიტველი პანები, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები, იაპონელი ბარონები, ამარცხებდნენ ჩამორჩენილობის გამო. სამხედრო ჩამორჩენილობის, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობის, სამრეწველო, სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენილობისთვის.“

სტალინის განმარტებაში რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაჩენით გადაწყდა ამოცანა ,,თავდაცვისა თურქების, მონღოლების, და აღმოსავლეთის სხვა ხალხების შემოსევისგან“, მაგრამ ,,ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა ქვეყნის არსებობდა XVII-XVIII საუკუნეებშიც, მაგრამ არსებობდა პეტრე I რომელსაც ჰქონდა რა საქმე დასავლეთის უფრო განვითარებულ ქვეყნებთან სწრაფად (лихорадочно) აგებდა ქარხნებსა და ფაბრიკებს არმიის მომარაგებისთვის და ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისთვის. ეს იყო ერთგვარი მცდელობა ჩამორჩენილობის ჩარჩოების გასარღვევად“.

სტალინისთვის დამახასიათებელია ნათლად გამოხატული პრაგმატიზმი ისტორიული პიროვნებების შეფასებისას. უკვე ომის შემდეგ ფილმ ,,ივანე მრისხანეს“ შემქნელებთან მან შეგნებულად უწოდა იგივე პეტრე I-ს ,,პეტრუხა“ აღნიშნა რა, რომ ის არაეროვნულია რამდენადაც კარი გაუხსნა უცხოელებს. სტალინის ლოგიკა აქ საკმაოდ აშკარაა აუცილებელი იყო სწრაფად შემორაგულიყვნენ დასავლეთის ,,გამხრწნელი გავლენისგან“, პეტრეს ევროპაში ,,ღია ფანჯრის“ ანალოგი ამიტომაც არ იყო საჭირო.

განსაკუთრებულ ყურადღებას სტალინი უთმობდა პარტიის ისტორიას. 1931 წ. მან დაწერა წერილი ჟურნალ ,,პროლეტარსკაია რევოლუცია“-ს რედაქციაში ,,ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ რომელშიც ყურადღებას ამახვილებს დასავლეთის ისტორიკოსების, ასევე ოთხტომეულის ,,ვკპ(ბ) ისტორია“ (იაროსლავსკის რედაქტორობით) ავტორების ,,შეცდომებზე“. ,,დამუშავებას“ დაექვემდებარა ი. ალტერი, ა. სლუცკი, დ. ბაევსკი, ს. პიონტოვსკი, ი. მინცი, ნ. ელვოვი და სხვები. 1937 დასაწყისში სტალინმა მიმართა წერილით ,,ვკპ(ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ“ პარტიის ისტორიის წიგნის შემდგენელებს: ,,მე ვფიქრობ, წერდა იგი - რომ ჩვენი ვკპ(ბ) ისტორიის სახელმძღვანელოები არადამაკმაყოფილებელია სამი მთავარი მიზეზის გამო. არადამაკმაფილებელია ან იმიტომ

რომ ისინი ყვებიან ვკპ(ბ) ისტორიას ქვეყნის ისტორიასთან კავშირის გარეშე ან იმიტომ, რომ იფარგლებიან თხრობით, მოვლენების და ფაქტების უბრალო აღწერით, არ აძლევენ რა მათ აუცილებელ მარქსისტულ ახნას, ან იმის გამო, რომ ,,ზარალდებიან" არასწორი კონსტრუქციებით, მოვლენათა პერიოდიზაციის არასწორობით". თვითონ სტალინი აძლევდა საკმაოდ თავისებურ განსაზღვრებას პარტიის ისტორიას: ,,ჩვენი პარტიის ისტორია არის შიდაპარტიული წინააღმდეგობების დაძლევის და ამ დაძლევის საფუძველზე ჩვენი პარტიის რიგების განუხრელი განმტკიცების ისტორია". ამაზე დაყრდნობით მან შეიმუშავა ვკპ(ბ) პერიოდიზაციის საკუთარი სქემა.

1. პერიოდიზაციიდან გამორიცხა რსდმრპ მეორე ყრილობის თარიღი (1903) და მისი მნიშვნელობა დაიყვანა რსდმპ-ს შექმნამდე და ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციების გაჩენამდე. არსებითად უარყოფილი იყო ახალი ტიპის პარტიის შექმნის ფაქტი, მიუხედავად ვ. ლენინის მტკიცებისა იმის შესახებ, რომ ბოლშევიზმი არსებობს როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან.
2. პერიოდიზაციიდან ამოიღო ლენინური ,,რევოლუციის მომზადების პერიოდი" სამაგიეროდ 1904 წელი ჩართო ,,რევოლუციის წლებში" დაუმატა რა მას რუსეთ იაპონიის ომის პერიოდი.
3. გაახანგრძლივა რეაქციის პერიოდი 1912 წლამდე და დაუკავშირა ბოლშევიკების პარტიად გაფორმება რსდმპ-ს მე-6 პრაღის კონფერენციას.
4. ორი წლით გადაიტანა (1910 დან 1912 წლამდე) ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდის დაწყება.
5. გააერთიანა იმპერიალისტური ომის პერიოდი თებერვლის რევოლუციასთან, შეამცირა ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა 1917 წლის მარტამდე.

მოგვიანებით ,,ვკპ(ბ) ისტორიის მოკლე კურსში" სტალინი წერდა: ,,ლენინის წიგნი ,,რა ვაკეთოთ?" იყო ასეთი პარტიის იდეოლოგიური მომზადება. წიგნი ,,ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" იყო ასეთი პარტიის ორგანიზაციული მომზადება, ლენინის წიგნი ,,სოციალ დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" იყო ასეთი პარტიის პოლიტიკური მომზადება. ბოლოს ლენინის წიგნი ,,მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" იყო პარტიის თეორიული მომზადება. შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ისტორიაში აქამდე არცერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ყოფილა ასე საფუძვლიანად მომზადებული იმისთვის, რომ გაფორმებულიყო პარტიად როგორც ბოლშევიკური ჯგუფის შემთხვევაში". ამტკიცებდა რა ამას სტალინმა ფაქტობრივად დაიყვანა ახალი ტიპის პარტიის მომზადების პროცესი ლენინის მიერ ოთხი დასახელებული ნაშრომის შექმნასთან. რომელთა შინაარსი და მნიშვნელობა დაიყვანა ერთ ასპექტამდე.

სტალინის მიერ შემოთავაზებული პარტიის ოქტობმრის შემდგომი ისტორიის პერიოდიზაცია ემყარებოდა პარტიის დირექტივების და ბელადთა გამოსვლების ფეტიშიზაციას. ის გამორიცხავდა ,,ნეპს", სამაგიეროდ გამოყოფდა ,,ინდუსტრიალიზაციისთვის ბრძოლის" პერიოდს (1926-1929) (რა დროსაც ის ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა). ,,კოლექტივიზაციისთვის ბრძოლის პერიოდი" (1930-34) და ბოლოს ,,სოციალისტური მშენებლობის დასრულების" პერიოდი (1935-1937).

,,რეპრესიები ისტორიკოსთა გარემოში“

ისტორიის როგორც მეცნიერების პოლიტიზაციის პროცესს თან ახლდა თვითნებობა და ზემოქმედების ძალადობრივი მეთოდები. სტალინი და მისი გარემოცვა არ შეიძლება არ გაეღიზიანებინა დამოუკიდებელ ისტორიულ სკოლებს რომლებიც ავლენდნენ პატივისცემას რუსეთის სამეცნიერო ტრადიციების მიმართ. ,,ისტორიკოსთა საქმის“ შესახებ უკვე ითქვა სხვა თავში, მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსის ბედი ცალკე უნდა აღინიშნოს. ამ მხრივ საინტერესოა აკადემიკოს ე. ტარლეს ცხოვრება. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მას არ მოიხსენიებდნენ აკადემიკოსად და შერისხული იყო. ტარლეს შესახებ ალაპარაკდნენ ,,ნაპოლეონის“ გამოსვლის შემდეგ, რომელიც ,,პრავდა“ და ,,იზვესტიაში“ შეფასდა ნეგატიურად, მაგრამ წიგნი მოეწონა სტალინს და მომდევნო დღეს გაზეთებში გაჩნდა რედაქციის ,,შენიშვნა“ მეცნიერის დასაცავი. 1937 წლის მარტში ტარლეს მოეხსნა ნასამართლეობა და კვლავ მოიხსენიებოდა აკადემიკოსად. 1937-39 წწ. გაჩნდა მისი ახალი ნაშრომები ,,ჟერმინალი და პრერიალი“, ,,ნაპოლეონის შემოსევა რუსეთში“, ,,ტალეირანი“. ტარლეს ომის წინ ორჯერ გადაეცა სტალინური პრემია. სხვაგვარად წარიმართა ი. გოტიეს ბედი, რომლის ნაშრომი ,,რკინის საუკუნე აღმოსავლეთ ევროპაში“ ჟურნალ ,,ისტორიკ-მარქსისტის“ მიერ კვალიფიცირებულ იქნა როგორც სსრკ წინააღდეგ ინტერვენციის იდეოლოგიური მზადება. 1934 წელს ის დაბრუნდა გადასახლებიდან და დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ არაფერი ორიგინალური არ შეუქმნია, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ის წერდა დღიურებს, რომელიც შეიცავდა მკვეთრ, მაგრამ პრინციპში სწორ შეფასებებს იმდროინდელი სინამდვილისა.

სტალინიზმის დადგომას ისტორიულ მეცნიერებაში ჰქონდა ფართო გეოგრაფიული ჩარჩოები. 1930 წელს უკრაინაში შედგა სამსჯავრო საქმეზე ორგანიზაციის ,,Союза вызволения Украины“ რომელშიც თითქოს შედიოდნენ მეცნიერები ისტორიკოსები მ. გრუშევსკის მეთაურობით. მის ლიდერებს ადანაშაულებდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გაღვივებაში. 1931 წელს გამოვლინდა რაღაც ,,უკრაინული ნაციონალური ცენტრის“ საქმიანობსი შესახებ. მ. გრუშევსკი რომლის სახელი ისმოდა სხვადასხვა ბრუნვაში ამ პროცესებთან დაკავშირებით გადასახლებულ იქნა ხოლო მისი წიგნი ,,История Руси – Украины“ აკრძალული.

ჟურნალ ,,პროლეტარსკაია რევოლუციის“ რედაქციაში სტალინის წერილის შემდეგ დაიწყო დარბევა პარტიულ-ისტორიული მეცნიერების. ,,ვინ გარდა უიმედო ბიუროკრატებისა ამბობდა სტალინი- პარტიის ისტორიკოსების ნაშრომის შესახებ - შეიძლება დაეყრდნოს მხოლოლდ ქაღალდის დოკუმენტებს? ვის გარდა არქივის ვირთხებისა არ ესმის, რომ პარტია და მისი ლიდერები უნდა შემოწმდეს მათი საქმით პირველყოვლისა და არა მხოლოდ მათი დეკლარაციებით?“ ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებიდან მასიურად გაყარეს ისტორიკოსები რომლებიც გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. 1926 წ. დახვრეტილ იქნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გ. ფრიდლიანდი, რომელიც როგორც გამოცხადებულ იქნა სამეცნიერო საქმიანობას იყენებდა ,,ლენინიზმის მიმართ მტრული იდეების კონტრაბანდისთვის“. ბევრი პარტიის ისტორიკოსი რეპრესირებულ იქნა ისტორიის ფალსიფიკაციის, ტროცკიზმის კონტრაბანდის ბრალდებით და ა.შ. (მირონოვი, ალტერი, იუდოვსკი, გორინი ვანაგი, ბანტკე, კიი, ბაევსკი, მინცი) ტერორის მსხვერპლი გახდა ისტორიკოს პუბლიცისტი ი. სტეკლოვი

პარტიის ისტორიკოსები ვ. კნორინი, ვ. სორინი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ლუკინი, ლენინის ბიბლიოთეკის დირექტორი ვ. ნევსკი და ა.შ. სტალინის წერილმა ,,ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ" ბოლო მოუღო ბრძოლას მ. პოკროვსკის და ე. იაროსლავსკის ჯგუფებს შორის პირველობისთვის ,,ისტორიის ფრონტზე". 1931 წლის ოქტომბერში ე. იაროსლავსკიმ გაგზავნა მონანიების წერილი სტალინთან სადაც სთხოვდა მიეთითებინა პრინციპული და ისტორიული ხასიათის შეცდომებზე და სტალინმაც მიუთითა. იაროსლავსკიმ დაიწყო მათი გამოსწორება, შეუდგა რა ისტორიის ფალსიფიკაციას. პოკროვსკის სკოლასთან სხვაგვარად იყო საქმე.

1936 წლის იანვარში დაიწყო კრიტიკის კამპანია პოკროვსკის წინააღმდეგ. 1937 წელს მომზადებულ იქნა მოგვიანებით გამოიცა კრებული სახელწოდებით ,,მ.ნ. პოკროვსკის ისტორიული კონცეფციის წინააღმდეგ" (1939) და ,,მ.ნ. პოკროვსკის ანტიმარქსისტული კონცეფციის შესახებ" (1939). თავიანთი დამოკიდებულება რუსული მეცნიერების ამას წინანდელი ხელმძღვანელისადმი გამოხატეს ძველი სკოლის წარმომადგენლებმა: ბ. გრეკოვი, ს. ბახრუშინი, ვ. პიჩეტა, ს.იუშკოვი, მათმა მიმდევრებმა: ნ. დრუჟინინი, კ. ბაზილევიჩი, ბ. კაფენჰაუზი. ასევე პოკროვსკის მოწაფეებმა: ა. პანკრატოვა, მ. ნეჩკინა, ა. სიდოროვი და სხვები. 30-იანი წლების ბოლოს მ. პოკროვსკის განადგურებული სკოლა ახლა უკვე იწოდებოდა როგორც ,,შპიონების და დივერსანტების", მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტების და მსტოვრების, შეთქმულების და მკვლელების ბანდა. (თვითონ პოკროვსკი 1932 წელს გარდაიცვალა. 1932-1937 წწ. მისი სახელობის იყო მოსკოვის უნივერსიტეტი)

1930-იანი წლების რეპრესიებმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ისტორიულ მეცნიერებას. ამასთან მან დაასრულა ისტორიული ცოდნის უნიფიკაციის პროცესი. დიდწილად ამას განაპირობებდა პარტიის და მთავრობის დადგენილებები ისტორიული მეცნიერების განვითარების და უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ისტორიის სწავლების შესახებ.

,,ისტორიული დაწესებულებების, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისტორიის სწავლების ორგანიზაციული გადაწყობა"

1934 იანვარ-მარტში რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატმა ჩაატარა მეცნიერთა და ისტორიის მასწავლებელთა ორი თათბირი რომლებმაც გამოვიდნენ ისტორიის სწავლების რეორგანიზაციის და მასწავლებელთა კადრების მომზადების გაუმჯობესების სურვილით. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა პარტიის და მტავრობის დადგენილებები.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და ვკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ (1934 16 მაისი) მითითებული იყო, რომ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მთავარი ნაკლოვანება არის ისტორიის კონკრეტული მსვლელობის თხრობის შეცვლა აბსტრაქტული სოციოლოგიური სქემებით. 1934 წლის 9 ივნისს ცკ ვკპ(ბ) მიიღო გადაწყვეტილება დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლებში მსოფლიო ისტორიის და სსრკ ისტორიის ელემენტარული კურსის შემოღების შესახებ. ჩამოყალიბდა ავტორთა კოლექტივები ისტორიის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. 1934 წლის ზაფხულის ბოლოს მომზადდა სსრკ ისტორიის სახელმძღვანელო კონსპექტი რაზედაც 1934 წ, აგვისტოში ა. ჟდანოვმა, ს. კიროვმა და ი. სტალინმა დაწერეს ,,შენიშვნები". კონსპექტის ავტორთა მთავარი ნაკლი ,,შენიშვნის" მიხედვით იყო იმაში, რომ ის წარმოადგენდა არა სსრკ არამედ რუსული ისტორიის კონსპექტს, ანუ რუსეთის ისტორიას

იმ ხალხის ისტორიის გარეშე რომელიც სსრკ შემადგენლობაში შევიდა. სახელმძღვანელოებზე მუშაობა გაიწელა, ამიტომ 1936 წლის 26 იანვარს მთავრობამ და პარტიამ მიიღეს ახალი დადგენილება ,,ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ". შეიქმნა კომისია ა. ჟდანოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც მიიღო უფლება შეექმნა ჯგუფი უკვე მომზადებული სახელმძღვანელოების გადასასინჯად.

მთლიანობაში პარტიული და სამათავრობო დოკუმენტების კომპლექსმა 1934-36 წწ. განსაზღვრა მოთხოვნები ისტორიის მეცნიერების მიმართ.

1930 იანი წლების შუახანეში მარქსისტული მეთოდოლოგია საკმაოდ მტკიცედ დაფუძნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც ოდესღაც არამარქსისტული ისტორიული მეცნიერების საყრდენი იყო. (განსხვავებული აზრი ამ დროისთვის დიდწილად რეპრესირებული იყო), ამიტომ 1936 თებერვალში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომუნისტური აკადემიის ლიკვიდაციის და მისი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებისთვის გადაცემის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოიშვა ისტორიის ინსტიტუტი რომელშიც შეიქმნა რვა სექტორი. ინსტიტუტის პერიოდული ორგანო გახდა ჟურნალი ,,ისტორიკ მარქსისტ". 1936 წლიდან ინსტიტუტი გამოსცემდა პერიოდულ კრებულს ,,ისტორიჩესკი არხივ", 1937 წლიდან ,,ისტორიჩესკიე ზაპისკი". 1934-1935 წწ. აღდგენილ იქნა ისტორიული ფაკულტეტები მოსკოვის და ლენინგრადის უნივერსიტეტებში, მათთან დაიწყო ფუნქიონირება ასპირანტურამ.

<u>რუსეთის რევოლუციამდელი ისტორიის შესწავლა 1930-იანი წლებში</u>

ისტორიის მეცნიერება ქმნიდა არამხოლოდ რუსეთის ისტორიის ზოგად კონცეფციებს, არამედ აღწევდა გარკვეულ წარმატებებს კონკრეტული პრობლემის შემუშავებაში პირველ ყოვლისა შეიძლება ვისაუბროთ ფეოდალიზმის პერიოდის შესწავლაზე.

1932 წელს მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში მოხდა დისკუსია ძველი რუსეთის წყობის ხასიათის შესახებ. ი. სმირნოვი და მისი მიმდევრები გამოთქვამდნენ აზრს, სლავურ ტომებში პირველყოფილი წყობის დაშლის შემდეგ მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ. ბ. გრეკოვი ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთ სლავებში გაჩნდა ფეოდალური ურთიერთობები და დამყარდა ფეოდალური საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაცია. დისკუსის მონაწილეების უმრავლესობამ ამ თვალსაზრისს დაუჭირა მხარი. 1930-იან წლებში გრეკოვი გახდა ფეოდალური რუსეთის ისტორიის წამყვანი სპეციალისტი, მან დაიწყო პრინციპულად ახალი იდეების შემუშავება. კვლევის შედეგი იყო მონოგრაფია ,,რუსეთში ფეოდალიზმის ისტორიის ნარკვევები" (1934). თავისი კონცეფციები განაზოგადა წიგნებში ,,ფეოდალური ურთიერთობები კიევის სახელმწიფოში" (1935) და ,,კიევის რუსეთი" (1939) სადაც დამტიკიცებული იყო რომ ფეოდალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა სახელმწიფოს შენების პარალელურად. ავტორი მივიდა დასკვნამდე სახელმწიფო კიევით ცენტრში ჩამოყალიბდა მხოლოდ მას შემდეგ რაც გათანაბრდა აღმოსავლეთსლავური ჩრდილო და სამხრეთის მიწების განვითარების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები. მკვლევარი არგუმენტირებულად პოლემიზირებდა ნორმანული თეორიის წარმომადგენლებთან.

ძველი რუსეთის ისტორიიის პრობლემას 1930-იან წლებში საკმაოდ ინტენსიურად ამუშავებდა ისტორიკოს-იურისტი ს. იუშკოვი, რომლის შეხედულებები დიდწილად

ემთხვეოდა გრეკოვის ანაგებს. დიდ ინტერესს წარმოადგენს მისი განმარტება ძველი რუსეთის როგორც რუსი უკრაინელი და ბელორუსი ხალხების აკვანს.

ნაშრომებს შორის უფრო გვიანი ეტაპის ფეოდალური რუსეთის ისტორიის შესახებ უნდა გამოიყოს ს. ვესელოვსკის ფუნდამენტური კვლევები. ნაწილობრივ მისი მონოგრაფია ,,სოფელი ჩრდილო აღმოსავლეთ რუსეთში XIV-XVII სს.“ (1936) (Село и деревня в северо востоном Руси XIV-XVII)

დიდი ადგილი 1930-იანი წლების ისტორიოგრაფიაში ეკავა საგარეო პოლიტიკურ თემატიკას. ყველაზე აღსანიშნავი ამ დარგში იყო აკადემიკოს ტარლეს გამოკვლევები მის ნაშრომებში ცალკეული ისტორიულ შეფასებებისას შეიმჩნევა ფარული პოლემიკა მარქსის და ენგელსის მოსაზრებებთან. მაგალითად მარქსის განსაზღვრება ბონაპარტიზმის როგორც ფეოდალური და ბურჟუაზიულ კლასს შორის ლავირების შესახებ, როგორც ცნობილია ლენინმაც დააზუსტა ეს თვალსაზრისი: «Бонапартизм есть лавирование монархии, потерявшей свою старую, патриархальную или феодальную, простую и сплошную опору, – монархии, которая принуждена эквилибрировать, чтобы не упасть, заигрывать, чтобы управлять, – подкупать, чтобы нравиться, – брататься с подонками общества, с прямыми ворами и жуликами, чтобы держаться не только на штыке». ტარლემ სრულად სხვა პოზიცია დაიკავა და განაცხადა: ,,პოლიტიკური რეაქციის გზაზე დადგომით ნაპოლეონმა გააკეთა ის რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მსხვილ სავაჭრო სამრეწველო ბურჟუაზიას და მთელ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ის აგებდა ისე, რომ პირველ ყოვლისა დაკმაყოფილებულიყო ამ კლასის ინტერესები“.

განაგრძეს რა აქტიური მუშაობა XIX-XX საუკუნის დასაწყისის საგარეო პოლიტიკის თემატიკაზე გადასახლებიდან დაბრუნებულმა რომანოვმა და ტარლემ გადაამუშავეს მონოგრაფია ცარიზმის პოლიტიკის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში რუსეთ-აპონიის ომის წინ.

რუსეთის სამხედრო ისტორიისადმი ყურადღება 1930 წლების ბოლოდან განახლდა. 1939 წელს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა ჩაატარა სამეცნიერო სესია მიძღვნილი პოლტავის ბრძოლის 230 წლისთავს. 1940 წელს გამოვიდა ნ. კორობკოვის წიგნი ,,შვიდწლიანი ომი“.

რუსეთის ისტორიაში კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები არ შეიმჩნეოდა, თუმცა ზოგიერთი კვლევის აღნიშვნა აუცილებელია. მაგალითად 1935 წელს გამოვიდა ს. სტრუმილინის მონოგრაფია რუსეთში შავი მეტალურიგიის განვითარების შესახებ. მკვლევარმა შემოგვთავაზა პროგრესის ერთიანი მაჩვენებელი - ერთ ცვლაში მუშის შრომის საშუალო მწარმოებლურობა, რამდენადაც ის თვლიდა, რომ ამ მონაცემებში განზოგადდება საწარმოო ძალების მდგომარეობის წარმოების და შრომის ორგანიზაციის ყველა მნიშვნელოვანი მაჩვენებელი.

შემდგომი განვითარება ჰპოვა განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიოგრაფიამ. ამასთან სწორედ მოცემული პრობლემების შემუშავებისას შეიმჩნეოდა იდეათა პოლარიზაცია. საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ეს ა. რადიშევის ცხოვრების და მოღვაწეობის შეფასებისას. 1935 წელს გამოითქვა აზრი, რომ რადიშევი უშვებდა ზემოდან ცვლილებების შესაძლებლობას რაშიც ვლინდებოდა მისი შეზღუდულობა. იმავდროულად ი. სპასსკი და გ. გუკოვსკი ანვითარებდნენ აზრს რადიშევის თანმიმდევრული რევოლუციონერობის შესახებ. ამრიგად გაჩნდა რადიშევის გამოცანა. (პირველი მცდელობა მისი გადაწყვეტის ეკუთვნის

1940 წელს გ. მაკაგონენკოს). უკიდურესად წინააღმდეგობრივი იყო XIX საუკუნის 30-40-იანი წლების იდეური მიმდინარეობების განმარტება, განსაკუთრებით სლავიანოფილების. ამასთან დაკავშირებით 1941 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში ს. დმიტრიევის ინიციატივით ,,დაიწყო" დისკუსია, ის განიხილავდა სლავიანოფილობას როგორც მემამულეთა იდეოლოგიის გამოხატულებას, მაგრამ ამ პრობლემას განხილვა არ მოჰყოლია. 30-იან წლების ისტორიის მეცნიერება შეუდგა გერცენის და ოგარევის ცხოვრება მოღვაწეობის სერიოზულ შესწავლას 1937 წელს გამოვიდა ი. ნოვიჩის წიგნი სადაც უარყოფილ იქნა გერცენის კავშირი ქვეყანაში გლეხთა მოძრაობასთან, 1940-41 წწ. ბ. კუზმინის და ე. კუგუშევის მიერ წამოყენებულ იქნა საკითხი ნ. ოგარევის შესახებ და მის ურთიერთობაზე რუსულ განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან. ამავე წლებში გამოჩნდა მ. ნეჩკინას ნაშრომი ჩერნიშევსკის შესახებ და ა.შ.

,,საბჭოთა პერიოდის პრობლემა რუსულ ისტორიოგრაფიაში"

საბჭოთა საზოგადოების ისტორიამ 1930-იან წლებში ვერ ჰპოვა ადეკვატური ასახვა მეცნიერების დოგმატიზაციის გამო. ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ცალკეული პრობლემები აისახებოდა უფრო დაწვრილებით. 1935 წელს გამოვიდა პირველი ტომი ,,სამოქალაქო ომის ისტორია" ეს იყო პირველი განზოგადებული კოლექტიური ნაშრომი.

პროლეტარიატის დიქტატურის პირველ წლების ისტორიის სპეციალურ საკითხებს შორის დიდ ინტერესს იწვევდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები - საბჭოები. ა. პანკრატოვამ 1934 წელს დააყენა პრობლემა ადგილობრივი საბჭოების ხასიათის, რევოლუციის მსვლელობისას ცენტრსა და ადგილობრივ საბჭოებს შორის ურთიერთობის შესახებ და ა.შ. ანალოგიური საკითხები აღელვებდა ვ. უნდრევიჩს, მ. კარევს, აანალიზებდნენ ბოლშევიკების დამოკიდებულებას სახელმწიფო აპარატისადმი (1935), მაგრამ ყველაზე დეტალური ნაშრომი საბჭოების ისტორიაზე დაკავშირებულია ვ. ავერიევის სახელთან.

სამოქალაქო ომი და უცხოური ინტერვენცია განიხილებოდა ქვეყნის ცალკეული რეგიონების მოვლენათა პრიზმაში. ვოლგისპირეთის მოვლენები საკმაოდ სრულად იყო წარმოდგენილი ვ. პოპოვის მ. ბუდენკოვის, ა. ვალეევის, ვ. ხრულევის ნაშრომებში. ორჯონიკიძის და კიროვის საქმიანობა ჩრდილოეთ კავკასიაში აღწერილია ი. რაზგონის მიერ, ბრძოლა კოლჩაკთან შეისწავლა ვ. ოგოროდნიკოვმა ე. ბოლტინმა. ვრანგელის ჯარების წინააღმდეგ სამხრეთის ფრონტზე ბრძოლა გაანალიზეს ა. ეგოროვმა, კ. გალიცკიმ, ი ფილიპოვმა, ნ. ევსეევმა და სხვებმა. განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიკოსები აქცევდნენ რეგიონებს სადაც სამოქალაქო ომის დროს იბრძოდა სტალინი, მაგალითად დეტალურადაა განხილული ცარიცინის დაცვა. ამ სიუჟეტებს ეძღვნება მონოგრაფიები ვ. მელიქოვის (1938) ე. გენკინის (1940). მნიშნველოვანი ლიტერატურა აშუქებდა სტალინის საქმიანობას აღმოსავლეთის ფრონტის ჩრდილოეთის ფლანგზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 30-იანი წლების ისტორიულ მეცნიერებაში გაჩნდა ბევრი უპრინციპო, კარის სპეციალისტი. საკმარისია ე. იაროსლავსკის სტატიების ციტირება გამოქვეყნებული ჟურნალში ,,ისტორიკ მარქსისტ"-ში. 1940 წლის სტატიაში სათაურით ,,სტალინი ესაა ლენინი დღეს" წერდა: ,, სამოქალაქო ომის დროს ახალგაზრდა სახელმწიფოს ცხოვრების ყველაზე მძიმე მომენტებში ამხანაგი სტალინი იყო მთელი მოსახლეობის სურსათით მომარაგების ორგანიზატორი, შედეგად კი ორგანიზატორი და მხედართმთავარი

წითელი არმიის და ავლენს ამ საქმეში გენიალურ თვისებებს, ის მკერდით იცავს საბჭოთა ქვეყანას ყველა ფრონტზე“.

ამ დროინდელ ისტორიულ მეცნიერებაში არ არის სიუჟეტები ნეპის შესახებ. ინდუსტრიალიზაციის პროცესის შესწავლისას ყურაღება იყო გამახვილებული სტახანოვური მოძრაობის გამოკვლევაზე, ჯერ მარტო 1935-1940 წწ. მას მიეძღვნა 4643 ნაშრომი. უმრავლესობა ატარებდა ეკონომიკურ ხასიათს, მაგრამ ზოგიერთში იყო ისტორიული ექსკურსები. სტახანოველებს მიეძღვნა წიგნები ა. ვაინშტეინის (1937) ი. კუზმინოვის (1940). დაწვრილებით იყო განხილული რუსეთის მუშათა კლასის სოციალური სახის ცვლილება.

(ემიგრაციაში მყოფ რუსულ ისტორიოგრაფიაში ამ დროს იწყება დენაციონალიზაციის პროცესი, რუსულ ენაზე ნაშრომები მცირდება, ასევე მცირდება რუსული და სლავური თემები. საბჭოთა პერიოდი სუსტადაა შესწავლილი. ყველაზე დიდი ინტერესს იწვევს ბერდიაევის ნაშრომი ,,რუსული კომუნიზმის საწყისი და საზრისი“ (1937). დიდი მნიშვნელობა ამ დროს აქვს ტროცკის ნაშრომებს).

ისტორიული მეცნიერება ,,დიდი სამამულო ომის“ დროს

,,სამამულო ომის“ დაწყებისთანავე გადაეწყო ისტორიული მეცნიერების სისტემა რომლის შემადგენელი ნაწილი იყო ისტორიული დაწესებულებების: სასწავლებლების, არქივების, მუზეუმების, ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში ევაკუაცია. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი გადავიდა ტაშკენტში და ალმა-ათაში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი - აშხაბადში, მოგვიანებით - სვერდლოვსკში, კიევის და ხარკოვის უნივერსიტეტები კზილ-ორდუში.

ომის პირველ წლებში რთულ ვითარებაში შეიქმნა სტრუქტურები რომლებსაც უნდა შეეკრებათ გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ისტორიის მასალები, რაც გახდა ისტორიული მეცნიერების რეორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი. 1941 წ. პარტიის მოსკოვის კომიტეტთან შეიქმნა მოსკოვის დაცვის ისტორიის კომისია. 1942 წ. მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა კომისია დიდი სამამულო ომის ისტორიის შესახებ რომელსაც სათავეში ჩაიდგა პროფესორი, ცკ ვკპ(ბ) აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების უფროსი გ. ალექსანდროვი და მეცნიერებათა აკადემიის წევრკორი ი. მინცი. კომისიის თანამშრომლები იყვნენ გ. ბოგუსლავსკი, ე. გენკინა, ი. რაზგონი, ა. სიდოროვი, პ. ფედოსოვი და სხვები. ომის ისტორიისთვის მასალების შემკრები კომისიები შეიქმნა ასევე ალკკ ცკ-თან, სახალხო კომისარიატებში, არმიაში და ფლოტში, ოლქებში და რესპუბლიკებში. 1943-44 წწ. ასეთი კომისიები შეიქმნა ასევე განთავისუფლებულ რაიონებში.

ომის წლებში ისტორიული მეცნიერების სტრუქტურამ განიცადა არსებითი ცვლილება დაკავშირებული ისტორიული დაწესებულებების ქსელის გაფართოებასთან და სპეციალიზაციასთან. 1942 წელს გონივრულად იქნა აღიარებული მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნა, 1944 წ.- მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შექმნა. იამვე წელს შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოგრაფიული კომისია. 1943-45 წწ. შეიქმნა უზბეკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიები ისტორიული განყოფილებებით.

ომის პირველ წლებში რამდენადმე შემცირდა ისტორიული პერიოდიკის გამოცემა. შეწყდა ჟურნალების ,,წითელი არქივი“, ,,პროლეტარული რევოლუციის“ გამოცემა. ,,ისტორიკოს მარქსისტი“ შეერწყა ,,ისტორიულ ჟურნალს“, მაგრამ პირველივე შესაძლებლობისთანავე ისტორიული ჟურნალებისს გამოცემა განახლდა ახალ ბაზაზე.

ომის პერიოდმა დააყენა ისტორიკოსების წინაშე პრობლემები დაკავშირებული სამხედრო პატრიოტულ სამუშაოებთან. ერთ-ერთი მისი მიმართულება იყო სამეცნიერო პროპაგანდიტული საქმიანობა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით 1943 წ. განთავისუფლებულ ქალაქებში (სმოლენსკი, კურსკი, ხარკოვი) გაგზავნილ იქნა ლექტორთა ჯგუფები რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ ა. პანკრატოვა, ნ. დრუჟინინი ა. ეფიმოვი და სხვა.

გარკვეული ცვლილებები მოხდა კვლევის თემატიკაში. მასში გამოყოფილ იქნა აქცენტები დაკავშირებული რუსეთის ბრძოლასთან უცხოელ დამპყრობლებთან. ძვ. რუსეთის ისტორია იზიდავდა ისტორიკოსების ყურადღებას. ლიდერი მოცემული მიმართულების იყო ბ. გრეკოვი. 1941-1942 წწ. დასაწყისში მან მოამზადა ახალი გამოცემა მონოგრაფიის ,,კიევის რუსეთი“ დაამატა მას თავი ,,კიევის რუსეთის სამხედრო წყობილება“. 1942 წ. გამოაქვეყნა ,,რუსეთის ბრძოლა საკუთარი სახელმწიფოს შესაქმნელად“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი აღმოსავლეთ სლავებთან იწყება VI საუკუნეში, როცა ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ სლავი ტომების დიდი სამხედრო კავშირი დიდებულებით სათავეში.

1942 წ. შესრულდა ყინულზე ბრძოლის 700 წელი. ამ მოვლენას მიეძღვნა სამეცნიერო სესიები, გამოფენები, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები. საკმაოდ აქტიურად გამოდიდონენ ბ. გრეკოვი, მ. ტიხომიროვი და სხვები. ისინი ხატავდნენ გერმანიის აგრესიის სურათს რუსეთის და ბალტიისპირეთის მიწების მიმართ XII-XIII სს. აჩვენებდნენ მნიშვნელობას გერმანელთა განადგურების, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ალექსანდრე ნეველის ცხოვრებას და მოღვაწეობას. ივანე III და ივანე IV საქმიანობასთან დაკავშირებით შეისწავლებოდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. ივანე III მიეძღვნა ვ. სნეგირევის (1942) და კ. ბაზილევიჩის (1946) ნაშრომები რომელთაგან პირველი აღიარებულ იქნა როგორც წარუმატებელი სახალხო მასების როლის სუსტად ასახვის გამო. ივანე IV საქმიანობა გაანალიზებული იყო რ. ვიპერთან, ს. ბახრუშინთან, ი. სმირნოვთან. ვიპერის წიგნი მოეწონა სტალინს და ომის წლებში გამოიცა სამჯერ (1942, 1944, 1945) ავტორი განიხილავდა ივანე IV მრისხანეს როგორც გენიალურ ორგანიზატორს და ბელადს. მეფის გარკვეული იდეალიზება აღინიშნება ს. ბახრუშინის გამოკვლევებში, რომელიც ივანე IV საშინაო პოლიტიკის ძირითად მიზნად აღიარებდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის გადმონაშთის ლიკვიდაციას ხოლო ოპრიჩნინას ახასიათებდა როგორც აბსოლუტიზმისთვის ბრძოლის გარდაუვალ ეტაპს.

XVII სკ. რუსეთის ისტორიაში მკვლევართა ყურადღებას იქცევდა ორი სიუჟეტი. პირველი დაკავშირებული იყო ნიჟეგოროდსკის ლაშქრის და 1612 მოსკოვიდან პოლონეთ-შვედეთის ინტერვენტების განდევნაში მისი როლის შესწავლასთან (ბახრუშინი, პორუსოვი) მეორე იყო სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შემუშავება (იაკოვლევი, სმირნოვი, და სხვა). დიდი ინტერესს წარმოადგენს ა. სმირნოვის კვლევა რუსეთის ქალაქის სოციალ ეკონომიკური ისტორიის შესახებ. ხოლო ა. იაკოვლევის თეზისი მოსკოვის სამეფოზე

როგორც ,,ყმათა“ («холопьем») სახელმწიფოზე უკუგდებულ იქნა ისტორიკოსების უმრავლესობის მიერ.

ომის წლებში არსებითი ნაბიჯი გადაიდგა პეტრე დიდის ეპოქის შესწავლის საქმეში. ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს ბ. კავენჰაუზმა და ვ. მავროდინმა. მათ მიერ იქნა განხილული პეტრეს რეფორმების მნიშვნელობა რუსეთის განმტკიცების საქმეში, ნაჩვენები იყო მისი როლი რეგულარული არმიის ორგანიზებაში. საკმაოდ დაწვრილებით რიგი ავტორების მიერ აღწერილი იქნა ჩრდილოეთის ომი 1700-1721 წწ. პეტრეს ეპოქის შესახებ ნაშრომებს შორის შეიძლება გამოიყოს ბ. სირომიატნიკოვის მონოგრაფია (1943) რომელმაც გამოიწვია სერიოზული კრიტიკა. ავტორი მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის აბსოლუტიზმს წარმოაჩენდა არა მხოლოდ თავადაზნაურობის არამედ ვაჭრების ინტერესების გამომხატველად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მე-18 საუკუნის სამხედრო ისტორიას. საინტერესო იყო კ. ბაზილევიჩის და ი. პოლოსინოვის ნაშრომები შვიწლიან ომზე 1756-1763 წწ. ყურადღებას იქცევს ნ. კოროზკოვის მიერ ფელდმარშალ რუმიანცევ-ზადუნაისკის მოღვაწეობის შესწავლა რომლის სახელსაც ისტორიკოსი უკავშირებდა რუსული სამხედრო ხელოვნების ჩამოყალიბებას. მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ა. სუვოროვის მხედართმთავრულ ხელოვნებას. (ა. ბოგოლუბოვი, გ, მეშერიაკოვი ლ. ბესკროვნი, კ. პიგარევი, ბ. ზლატოუსტოვსკი და სხვა).

ომის წლებში ისტორიკოსებმა შექმნეს რიგი შინაარსიანი გამოკვლევები 1812 წლის ომზე (ლ. ბიჩკოვი, მ. ბრაგინი ნ. ლევიცკი) მათ შორის ცენტრალური ადგილი უკავია აკადემიკოს ტარლეს ნაშრომს ,,ნაპოლეონის შემოსევა რუსეთში“ (მეორე გამოცემა 1943).

1942 წ. ჩატარდა სამეცნიერო სესიები მიეძღვნა 1812 ომს და ბოროდინოს ბრძოლას. თავიანთ მოხსენებებში ისტორიკოსები აჩვენებდნენ მ. კუტუზოვის სტრატეგიული ჩანაფიქრის სიღრმეს. ომის წლებში გამოვიდა აკადემიკოს ტარლეს ფუნდამენტური ნაშრომი ,,ყირიმის ომი“. მე-19 სკ ისტორია ომის წლებში პრაქტიკულად არ შეისწავლებოდა გამონაკლისს წარმოადგენდა ს. სტრუმილინის გამოკვლევა, რომლის ცენტრშიც აღმოჩნდა რუსეთში სამრეწველო გადატრიალების საკითხი. მან სცადა დაესაბუთებინა გადატრიალების ქრონოლოგიური ჩარჩოები. აკადემიკოს სტრუმილინის იდეის განხილვისას გაჩნდა დისკუსია რუსული მანუფაქტურის ხასიათის და მისი ფაბრიკა ქარხნებით შეცვლის შესახებ.

ოქტომბრის შემდგომი ისტორიის პრობლემების შემუსავებისას მკვლევართა ძირითადი ყურადღება დაეთმო ოქტომბერს და სამოქალაქო ომს. 1942 წელს გამოვიდა მეორე ტომი ,,სსრკ სამოქალაქო ომის ისტორია“ რომლის ავტორები (ი. მინცი, პ. პოსპელოვი, ე. იაროსლავსკი, ე. გენკინი, ე. გოროდეცკი, ი. რაზგონი, ი. ტოვსტუხა) დაჯილდოვდნენ სტალინური პრემიით. ტომი მოიცავდა მოვლენებს 1917 წლის სექტემბერ - ნოემბერი, საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი სამოქალაქო ომის ისტორიის დოკუმენტები.